N 03/02/03-36 14/06/2021

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**2021 წლის რთვლის საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების ელექტრონული რეგისტრაციის პირობების დადგენის შესახებ**

,,2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N626 განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ღვინის კომპანიებმა, რომელთაც განზრახული აქვთ ყურძნის მიღება-გადამუშავება და ვალდებულნი არიან გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით რთვლის საკოორდინაციო შტაბში, უნდა უზრუნველყონ:

ა) ღვინის კომპანიების არანაკლებ 10მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

ბ) ყურძნის მიღება-ჩაბარების თითოეული პუნქტის ვიდეო კონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეო კამერა, ინტერნეტის სიჩქარე = 1მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე წვდომების გახსნა, ვიდეო ჩამწერის მომხმარებელი კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეო ჩამწერი თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ღამის ხედვის ფუნქციით, ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე), რომლის საშუალებით განხორციელდება სასწორზე მანქანის ძარის, სასწორის მაჩვენებლის და ყურძნის გადასამუშავებელი საცავის (ე.წ ,,ბუნკერის“) კონტროლი;

გ) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის განხორციელება სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში.

2. დაევალოს სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს ამ ბრძანების ღვინის კომპანიებისათვის გაცნობა.

3. კონტროლს წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ლევან მეხუზლა

თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა